„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

„05" „------------" 2013 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სარეიტინგო პირველობა ახალგაზრდებს შორის ვაჟებში

მარნეული

2013
9 – 10 თებერვალი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ვაჟი და ქალი ძიუდოისტები, ძიუდოს რეგიონალური ფედერაციებისათვის გამოყოფილი კვოტების შესაბამისად, წარმოდგენილი წინასწარი განაცხადების მიხედვით (კვოტები თან ერთვის – დანართი 1).

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა აკრედიტაცია და განაცხადების მიღება იწარმოებს 2013 წლის 8 თებერვლის 14.00-საათამდე. კენჭისყრა დაიწყება 8 თებერვლის 15.00 საათზე საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ოფისში (ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. 5). აკრედიტაციის გავლა ასევე შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტში, ფოსტით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით.

შენიშვნა: აკრედიტაციის გავლის გარეშე სპორტსმენები კენჭისყრაზე და შესაბამისად შეჯიბრზე არ დაიშვებიან !!!

- შეჯიბრი ჩატარდება 2013 წლის 9-10 თებერვალს მარნეულის სპორტ-კომპლექსში.
- ჩამოსვლის დღე მარნეულში 8 თებევრალს. წასვლა 11 თებერვალს.

- შეჯიბრების დასაწყისი 11.00 საათზე

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში: 55 კგ; 60კგ; 66 კგ; 73 კგ; 81კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;

აწონვა: თბილისსა და მარნეულში

8 თებერვალს მარნეულის სპორტ-კომპლექსში და თბილისში, ბელიაშვილის №5-ში
55 კგ; 60კგ; 66 კგ; 73 კგ;
არაოფიციალური 15.00 - 16.00 საათამდე;
ოფიციალური 16.00 – 17.00 საათამდე;

9 თებერვალს მარნეულის სპორტ-კომპლექსში,
81კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;
არაოფიციალური 15.00 - 16.00 საათამდე;
ოფიციალური 16.00 – 17.00 საათამდე;

- შეჯიბრზე მონაწილეები დაიშვებიან მხოლოდ პირადობის მოწმობის (ორიგინალი) წარმოდგენის შემდეგ.

VI. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება) უზრუნველყოფს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 52 82 05;

მობ. +995 595 21 25 23 – გიორგი ათაბეგაშვილი

ელექტრონული მისამართი: **geojudo@yahoo.com**

საკონტაქტო პირი – გიორგი გუგავა 599 55 05 51

დანართი 1

რეგიონებისათვის თითოეულ წონით კატეგორიაში გამოყოფილი კვოტები ვაჟთა შორის

№	რეგიონი	კვოტა თითოეულ წონით კატეგორიაში	კვოტა სულ 8 წონით კატეგორიაში
1.	თბილისი	4	32
2.	კახეთი	4	32
3.	იმერეთი	4	32
4.	შიდა ქართლი	4	32
5.	ქვემო ქართლი	4	32
6.	სამეგრელო - ზ/ს	2	16
7.	აჭარა	2	16
8.	მცხეთა - მთიანეთი	2	16
9.	რაჭა-ლეჩხუმი - ქ/ს	2	16
10.	აფხაზეთი	1	8
11.	სამცხე ჯავახეთი	1	8
12.	გურია	1	8
13.	ცხინვალის რეგიონი	1	8

სულ: 32 მონაწილე ; სულ: 256 მონაწილე

P.S.

- სპორტსმენთა მიერ მოპოვებული გამარჯვებები აისახება სარეიტინგო სისტემაში და სახელფასო განაწილებაში (რეიტინგების სისტემა იხილეთ ფედერაციის ვებ-გვერდზე **www.gjf.ge**).
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს როგორც პიროვნულ, ასევე რეგიონული ნაკრები გუნდის მიერ მიღწეული სრული შედეგის და წევრ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული სარეიტინგო ქულების ანულირებაზე.
- შენიშვნა: შეჯიბრზე ყველა წონითი კატეგორიის სპორტსმენებს აქვთ უფლება 1 კგ-ით ზედმეტი დაშვებისა.

გენერალური მდივანი

გიორგი ათაბეგაშვილი